ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

37 (10075) 23 seqtemberi • 2014 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

ნოემბერში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა გაიმართება

სალომე ცომაია



წელს, ნოემბერში საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა გაიმართება. თუ როგორ ემზადებიან აღწერისათვის რეგიონში, ამაზე მოსახლეობის საყოველთაო აღწერის გურიის რეგიონის კოორდინატორი **სევერიან საჯაია** გვესაუბრა;

–წელს, 5 -დან 19 ნოემბრამდე მოსახლეობის საყოველთაო აღწერა გაიმართება. მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ უნდა დაადგინოს:

მოსახლეობის რიცხოვნობა; სქესობრივი, ასაკობრივი, ეთნიკური შემადგენლობა; განათლების დონე; ოჯახური მდგომარეობა; დასაქმება-უმუშევრობა; შინამეურნეობის საბინაო პირობები; შიდა მიგრაცია; ემიგრაცია; სასოფლო-სამეურნეო მიწების აღწერა– ნაკვეთების მდებარეობის და გამოყენების მიხედვით; მეცხოველეობის და მეფრინველეობის დონე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მონაცემები კონფიდეციალურია.

–ვინ ჩაატარებს ამ აღწერას?

-აღწერას შტატგარეშე თანამშრომლები ჩაატარებენ, რომლებიც კონკურსის წესით შეირჩევიან. შემდეგ მოხდება მათი დატრენინგება. მათ გადაეცემათ შესაბამისი რუკები და შესაბამისი დოკუმენტაციით მოახდენენ აღწერას.

–გაქვთ შესაბამისი ხელშეწყობა?

–ხელშეწყობა ყველა დონეზე გვაქვს. აღწერის სრულყოფილად ჩატარებაში ხელს გვიწობენ გურიის გუბერნატორი, როგორც თემების, ისე ქალაქის ხელმღვანელობა.

ვფიქრობთ, სახელმწიფოსათვის ამ მნიშვნელოვან კამპანიას წარმატებით დავასრულებთ.

100 წლის ქალბატონი

ქ ოზურგეთის მკვიდრს, ნადეჟდა (ნადია) დოლიძე -სირაძეს 100 წელი შეუსრულდა

ნინო ნიკოლაიშვილი

თმებდათოვლილი ქალბატონი, ცხოვრებისგან ბევრ ჭირ-ვარამგამოვლილი, სიდარბაისლით და ძველებური პეწით გამორჩეული დინჯად საუბრობს გარდასულ დროზე, დროში ჩარჩენილ ბავშვობის, ახალგაზრდობის, ხანდაზმულობის წლებზე. იმ სიხარულსა და ტკივილზე, რაც მისი ხანგრძლივი სიცოცხლის თანამდევი გახდა.

ქ-ნი ნადეჟდა (ნადია) ფოკას ასული დოლიძე, დაიბადა 1914 წლის 17 სექტემბერს, ჩოხატაურის რ-ნის სოფელ ბუკნარში.

პირველდაწყებითი განათლება ბუკნარის ოთხწლედში მიუღია.

– ბუკნარის ოთხწლედი დავამთავრე, სწავლის გაგრძელება მინდოდა, მაგრამ ნაგომარში სიარული ჩვენთვის ძნელი იყო – იგონებს ქ-ნი ნადია.

იმ პერიოდში ფოკა დოლიძის ოჯახი მრავალშვილიანობის მიუხედავად, საშუალო სიძლიერის ოჯახს განეკუთვნებოდა. საკუთარი შრომით შექმნილი ნაშრომ-ნაამაგარის დათმობაც არ იყო ადვილი და ისევე, როგორც ბევრი სხვა, ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ, მათი ოჯახიც საეჭვოთა სიაში შეუყვანიათ.

–„ ტროცკისტობას აბრალებდნენ მამას. ბევრი შიში და ვაება გამოვიარეთ. ოცდაჩვიდმეტში გადაასახლეს. ვეღარაფერი გავიგეთ მის შესახებ. აღარც დაბრუნებულა“ – სევდამორეული ყვება და თვალებით თითქოს შორეულ წარსულში ინაცვლებს, წუთიერად მიჰყვება ფიქრებს, მერე ისევ დინჯად აგრძელებს საუბარს.

– „მინდოდა ყველა შიში და ტკივილი ჩემს ბავშვობაში დარჩენილიყო, მაგრამ ასე არ მოხდა.“– ცრემლით ევსება თვალები.

ოჯახი

ჩვეულებრივი, ტრადიციული წესით შექმნა ოჯახი. მთისპირელ მიხეილ სირაძეს დაუკავშირა თავისი ბედი.

– „ოჯახმა გამათხოვა, თავდაპირველად არ ვიცნობდი ჩემს მომავალ მეუღლეს, მაგრამ როცა გავიცანი, ძალიან მომეწონა. მიშა ვაჟკაცი, მოსიყვარულე, ყურადღებიანი მეუღლე იყო. მართალია მდიდრები არ ვყოფილვართ, მაგრამ ერთმანეთის გვერდით დგომით ოჯახიც გავმართეთ და შვილებიც გავზარდეთ. ერთმანეთის სიყვარულმა დაგვაძლევინა უდიდესი ტრაგედია, პირველი შვილის 3 წლის ასაკში დაღუპვა.“

მერე სამი შვილი შეეძინათ. მეუღლე სოფლის ფურნეში მუშაობდა, ქ-ნი ნადია ჩაის კრეფდა.

– „ჩემს ბავშვობაში ყანა, მეცხოველეობა და თამბაქოს მოყვანა იყო მაშინდელი ოჯახების შემოსავალი. მერე თანდათან ჩაის პლანტაციები გაშენდა. თუმცა საარსებოდ მაინც არ იყო საკმარისი, რადგან ეზოს მწირი მიწისგან შემოსავალი არ გვყოფნიდა, გადავწყვიტეთ ოზურგეთში გადმოვსულიყავით. ჯერ ქირით ვცხოვრობდით, შემდეგ სახლი ვიყიდეთ. “.

ოზურგეთში მუშაობა თავდაპირველად მაღაროთა სამმართველოში დაუწყია. შემდეგ ხილის გადამამუშავებელ საკონსერვო ქარხანაში, ბოლოს კი პურკომბინატში, სადაც 1971 წლამდე უმუშავია.

უდიდესი ტკივილი განიცადა მეუღლის ტრაგიკულად დაღუპვის გამო. თუმცა სიცოცხლე გაგრძელდა და ოჯახიც თანდათან გამრავლდა.

კვლავ დიდი უბედურება დაატყდა თავს, კიდევ ერთი შვილი დაიტირა მხცოვანმა დედამ. ჭირს თავად გაუმაგრდა და გულშივე ჩაიბრუნა გულისტკივილი.

უფროსი შვილი მადონა პროფესიით დიზაინერ-მკერავი გახლავთ.

მომდევნო (აწ გარდაცვლილი ერმუხი) ფოთში მუშაობდა, იქვე ცხოვრობს მისი ოჯახი.

კაკოს ავეჯის საწარმო აქვს და კერძო ბიზნესით არის დაკავებული. უდიდესი სითბოთი და სიყვარულით საუბრობს მშობლებზე. –„საოცრად თბილ გარემოში ვიზრდებოდით. არასოდეს გვიჯავრდებოდნენ, ახლაც მახსოვს მათი ტკბილი დარიგება.“

–„როცა შვილი შემეძინა, ქ-ნმა ნადიამ მუშაობას თავი დაანება და შვილების გაზრდაში მომეხმარა. მისი წყალობით სამსახურისთვის თავი არ დამინებებია – მადლიერებით საუბრობს დედამთილზე ოჯახის რძალი ლიანა გიგინეიშვილი-სირაძე.

უფროსი შვილიშვილი ლელა ოთხი შვილის დედაა და ფოთში დედასთან, ქ-ნ ნორასთან და თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს..

მიხეილი პროფესიით მხატვარია. მამასთან ერთად მუშაობს ავეჯის სახელოსნოში. მომდევნო მალხაზმა თბილისის ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და ჯერ პროკურორის მოადგილე, ამჟამად კი გურიის მხარის პროკურორის

გვ-4

საბავშვო ბაღები 1 ოქტომბერს გაიხსნება

ქეთი ბოლქვაძე

თუ როგორ ემზადება ქ. ოზურგეთის ბაღების გაერთიანება ახალი სასწავლო წლისათვის ამაზე გაერთიანების უფროსი **ეკა ნინიძე** გვესაუბრა:

–რეორგანიზაცია დასრულდა. გაიყო ქალაქისა და სოფლების ბაღების გაერთიანება. წელს, 1 ოქტომბერს 1100 ბავშვი მივა ქ. ოზურგეთის საბავშვო ბაღებში. მათ ჩვენი გაერთიანების ჩათვლით 198 თანამშრომელი მოემსახურება, საიდანაც 56 პედაგოგია.

–რა რაოდენობის თანხა გაქვთ წლის ბოლომდე მუშაობისათვის?

–2015 წლის 1 იანვრამდე მუნიციპალიტეტმა 406 500 ლარი გამოგვიყო.ეს თანხა საკმარისია ბაღების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. რაც მთავარია, მეტი დაიხარჯება ბავშვების კვებაზე, იგი უფრო მრავალფეროვანი გახდება.

–რამდენადაც ვიცით, ყველა ბაღი არ არის მზად სასწავლო წლის დასაწყებად?

–ქალაქში სულ 9 ბაღია. აქედან სამი შარშან კაპიტალურად გარემონტდა. ამჟამად №6 საბავშვო ბაღში (რკინაბეტონის დასახლება) მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. ეს ბაღი ოქტომბრის ბოლოს გაიხსნება. ბაღებში სწავლის დაწყების წინ ჩავატარეთ სადეზინფექციო სამუშაოები. ჩატარდა სხვა მოსამზადებელი სამუშაოებიც.

–რა სახის საშტატო ცვლილებები განახორციელეთ. რა სიახლეებს უნდა ელოდნენ ბავშვების მშობლები ბაღების გაერთიანებისაგან?

– იყო საშტატო ცვლილებები. რამდენიმე შტატი ჩავანაცვლეთ. სიახლე იქნება ის, რომ გვექნება ჩვენი ვებ-გვერდი, სადაც მშობლებს შეეძლება, თავისი შვილის მონაცემები შეამოწმოს.

–არის ინფორმაცია, რომ მომავალი წლის დასაწყისში ბაღების თანამშრომლების ატესტაცია მოხდეს..

–ჩვენ ამ თემაზე ჯერ-ჯერობით ინფორმაცია არ გვაქვს

7 დღის ამინდის პროგნოზი

23 სექტემბერი	24 სექტემბერი	25 სექტემბერი	26 სექტემბერი	27 სექტემბერი	28 სექტემბერი	29 სექტემბერი
					კვირა	
სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი		ორშაბათი
მზე, +18+26	წვიმა, +12+20	წვიმა, +11+17	მზე, +13+20	მზე, +16+25	მზე, ღრუბელი +15+25	წვიმა, +10+16

საატესტაციო კომისიის შექმნა მომდევნო სხდომისთვის გადაიდო

გაზეთი „ალიონი“

ქ. ოზურგეთის საკრებულოს მორიგ სხდომაზე ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილება უნდა მიეღო. საკითხი საკრებულოს იურიდიულმა კომისიამ შემოიტანა.

ამ საკითხის განხილვისას, დეპუტატმა ნათია შარაშენიძემ დააყენა საკითხი, რომ მუნიციპალიტეტის საატესტაციო კომისიაში ჩაეწერათ საკრებულოს წევრებიც, რაზედაც იყო პასუხი, რომ ეს უნდა გადაეწყვიტა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს.

შემდეგ კი, საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის იურისტმა ირაკლი პაპავამ დასვა კითხვა:–კონკრეტულ საკითხზე საჯარო-ადმინისტრაციული წარმოება რატომ არ ხდებოდა, რადგან ნორმატიული აქტი უნდა დადგინდეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით.

პაპავას კითხვას, კვლავ აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა, თუმცა შემდეგ დეპუტატმა თემურ სალუქვაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომებზე საკრებულოზე შემოტანილი საკითხები იურიდიულად დასაბუთებული უნდა იყოს და ძალიან მკაცრად უნდა დადგეს ეს საკითხი.

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულებას ქ. ოზურგეთის საკრებულოს 6 ოქტომბრის სხდომაზე დაამტკიცებენ.

ამ საკითხის საჯარო-ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების გამო საკრებულოს არც საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე დაუნიშნავს.

საკრებულოს საფინასო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე მარიკა ნაცვალაძემ 2014 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ წარმოადგინა პროექტი, რომელიც უცვლელად დაამტკიცეს. ასევე უცვლელად დაამტკიცეს ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილებები. სახელმწიფო შესყიდვების გეგმა 35 755 ლარით გაიზარდა.

დაამტკიცეს სხვადასხვა დებულებები.

ცვლილებები შეიტანეს ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 2 აგვისტოს №1 დადგენილებაში. რეგლამენტის 135-ე მუხლის მე-3 პუნქტში საკრებულოს მიერ დადგენილი დოკუმენტების მედიაში გამოქვეყნების ვალდებულება ამოიღეს. ახალი რედაქციით ეს დოკუმენტები გამოქვეყნდება თვითმმართველი ერთეულის ვებ-გვერდზე ან გაზეთში (სავალდებულო აღარ არის). საკითხი საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე გოჩა ძიმისტარიშვილმა შემოიტანა და მედიაში გამოქვეყნების შეწყვეტა ფინანსური პრობლემით ახსნა:–საკრებულოს სათანადო სახსრები არ გააჩნიაო. კენჭისყრისას ამ საკითხს ოპოზიციის ნაწილმაც მისცა ხმა, ხოლო შედეგის მიღების შემდეგ ერთ-ერთი თანამდებობის პირმა თქვა :–აწი გაზეთები დადგენილებების გამოქვეყნებას ვეღარ მოგთხოვენო.(?!0

საკრებულომ სხვა საკითხებიც განიხილა.

დასუფთავების აქცია ოზურგეთში

ქეთი ბოლქვაძე, სალომე ცომაია



უნარჩენო მსოფლიოსათვის არაერთი აქცია ტარდება. 20,21, 22 სექტემბერის აქციაში ოზურგეთის თემების და ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტებიც ჩაერთვნენ.

თავდაპირველად ოზურგეთის ,,სერვისცენტრის“ ხელმძღვანელს, **ვლადიმერ სალუქვაძეს** შევხვდით.

–ჩვენ ქ. ოზურგეთს ვემსახურებით. ამჟამად, 1 ნოემბრამდე შესაბამისი ხელშეკრულებით თემების საკრებულოსაც მოვემსახურებით.

ქალაქ ოზურგეთში დასუფთავების აქცია, ქალაქის მერის, ბეგლარ სიორიძის დავალებით კარგახანია მიმდინარეობს. აქტიურად მიმდინარეობდა ბაღების, სკვერების, სკოლების დასუფთავება. ამ პროცესში ჩართული იყო საჯარო სამსახურების თანამშრომლები. ნარჩენების გატანაში თემების საკრებულო გვეხმარება -გვითხრა ვლადიმერ სალუქვაძემ.

–რა მომსახურებას უწევთ მოსახლეობას?

–,,სერვისცენტრი“ არა მარტო დასუფთავებას ახდენს, არამედ აქ შემოდის გამწვანება, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, მაწანწალა ძაღლების ქალაქიდან გაყვანა, ასევე უპატრონო პირუტყვისაგან მწვანე ნარგაობის დაცვა და ა.შ. ჯერ-ჯერობით ქალაქს არ ჰყვას სპეციალური ამწე, რომლითაც ქალაქში განათების მოვლაა შესაძლებელი. ვსარგებლობთ თემების კუთვნილი ამწით.

ისე, დასუფთავების აქცია ჩვენს სამსახურში ყოველდღიურადაა. ჩვენი სამუშაო დღეს დილის 7 საათსა 30 წუთზე იწყება და 11 საათსა და 30 წუთზე მთავრდება.

დავინტერესდით, თუ როგორ ტარდებოდა დასუფთავების აქცია სოფლებში და ამიტომ სოფ. გურიანთას და სოფ. მერიას ვესტუმრეთ.

სოფ. გურიანთაში საკრებულოს დეპუტატი ბონდო ღლონტი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი სოფ. გურიანთაში კოტე ჩიკაშუა, მასწავლებელი სლავა არაშიძე და რამდენიმე პირი სოფლის ცენტრში II მსოფლიო ომში დაღუპულთა ობელისკის მიმდებარე ტერიტორიას ასუფთავებდნენ. შემდეგ დასუფთავების აქციაში გურიანთის საჯარო სკოლის მოსწავლეებიც ჩაერთვნენ.

ბონდო ღლონტი:- გურიანთას საუკეთესო ცენტრი ჰქონდა. შემდეგ აქ თუჯის ღობეები თანდათან მოიპარეს. სოფლის პროგრამით, ამ ვრცელი ტერიტორიის ნაწილი შემოღობეს. გურიანთას ჰყავს მეორე მსოფლიო ომის გმირები გენერალი პორფირე ჩანჩიბაძე და სნაიპერი ვასილ კვაჭანტირაძე. მათი ობელისკების მიმდებარე ტერიტორია მოუვლელია. ასევე ამ სოფლიდან აფხაზეთის ომში თამაზ მალაზონია დაიღუპა, ხოლო 2008 წლის ომში თემურ ჭიტაძე. ვგეგმავთ, ეს ვრცელი ტერიტორია შემოვღობოთ და აქ მათ უკვდავსაყოფათ მოვაწყოთ სკვერი.

გურიანთლებმა მართლაც გულმოდგინედ იშრომეს და შემდეგ მისაბმელიანი ტრაქტორით საკმაოდ დიდი მოცულობის ნარჩენები გადაიტანეს სანაგვეზე.

სოფ. მერიის სკოლის მოსწავლეებმა სკოლის მიმდებარე ვრცელი ტერიტორია დაასუფთავეს. აქციაში სკოლის პედაგოგებიც აქტიურად მონაწილეობდნენ.

გურიის რეგიონის ფართო საზოგადოებისათვის, ფერმერთათვის საჭირო ნაშრომი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ზაურ გაბრიჩიძის რედაქტორობით, ეკონომიკის მეცნიერების აკადემიური დოქტორების: გურამ ღლონტის და გურამ ცერცვაძის ავტორობით მომზადდა სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი "გურიის რეგიონის აგრარული სექტორის ეკონომიკა".

ნაშრომში დახასიათებულია რეგიონის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები; მოცემულია მოსახლეობის დინამიკა; გაანალიზებულია აგრარული სექტორის ეკონომიკური მაჩვენებლები დინამიკაში, რომელიც საბჭოური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მტკივნეულ პერიოდს მოიცავს; განხილულია ძირითადი ეკონომიკური კრიტერიუმები, რომელთა გამოყენება დაეხმარება ფერმერებს საწარმოო მიმართულების არჩევასა და კაპიტალის ეფექტურად განაწილებაში; წარმოდგენილია ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია, მოსალოდნელი შედეგები; მოცემულია მიმართულებები მოსახლეობის შემოსავლების ზრდისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

წარმოდგენილი წინადადებებიდან რამდენიმე მათგანის რეალიზაციისათვის საჭიროა მთავრობისა და პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილებები, კერძოდ, რაიონებში მძლავრი სტატისტიკური სამსახურების შექმნის, სასოფლო- სამეურნეო მიწის გადასახადის კანონის კორექტირების, გამოუყენებელი მიწების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვის მიზნით.

ნაშრომის მეცნიერული მონაცემები ეფუძნება ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში წლების განმავლობაში ჩატარებულ სამეცნიერო კვლევებს.

ნაშრომი ამა წლის აპრილში დასრულდა. გამოქვეყნებისათვის საჭიროა 2 ათასი ლარი. სპონსორებს ვთხოვთ დახმარებას ნაშრომის დროულად გამოცემისათვის.

სარედაქციო საბჭო.

პროექტი "ჩვენ ვწერთ სოფლის მატიანეს"

პროექტი "ჩვენ ვწერთ სოფლის მატიანეს", რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია "ქალები რეგიონის განვითარებისთვის" და ფონდ "ტასოს" მიერ იყო დაფინანსებული, წარმატებით განხორციელდა ექადია-ანასეულის ტერიტორიაზე. მასში მონაწილეობას იღებდა 32 მოსწავლე-ახალგაზრდა და 17 ბენეფიციარი.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2014 წლის 20 ივნისიდან და დასრულდა 10 სექტემბერს. პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდების თავისუფლი დროის სწორი ორგანიზება და დატვირთვა შინაარსიანი და საინტერესო აქტივობებით. ძველი და ახლი თაობების შეხვედრებმა, საუბრებმა, დისკუსიებმა, მოგონებებმა ხალისი და მხიარულება შესძინა ზაფხულის ცხელ დღეებს. პროექტი ერთნაირად საინტერესო იყო, როგორც ახალგაზრდებისთვის, ისე უფროსებისთვის.

3 თვის განმავლობაში ახალგაზრდები მრავალ საინტერესო ადამიანს შეხვდნენ და ბევრი კარგად მივიწყებული ძველი და ახალი ამბავი გაიგეს. პროექტში სიამოვნებით მიიღეს მონაწილეობა: ლევან ქუთათელაძემ, ვალერი კვაჭანტირაძემ, ზაირა ვაშალომიძემ, მაყვალა ანდრიანოვამ, ლეილა გელაშვილმა, ჯილდა ლოლაძემ, თინა სალუქვაძემ მანანა მენაბდემ, ეთერ მაგრაქველიძემ, ეთერ სალუქვაძემ, მედეა სალუქვაძემ, კლავდია ბურაკოვამ /პროექტის ყველაზე ხანდაზმული მონაწილე, 93 წლის/, კახა გოგუაძემ, ჯიმშერ რამიშვილმა, მანანა ლომაძემ, ზურაბ გუჯაბიძემ. მათმა მონათხრობმა ისტორიებმა ბევრ რამეზე დააფიქრა ახალგაზრდები. სამწუხაროდ, არ მოხერხდა შეხვედრა ბევრ საინტერესო ადამიანთან, მაგრამ იმდენად დიდია ბავშვების მოტივაცია, რომ სოფლის კოლორიტებთან და გამორჩეულ ადამიანებთან შეხვედრა და ისტორიების ჩაწერა პერიოდულად გაგრძელდება.

საკმაოდ საინტერესო მასალა შეგროვდა. პროექტი შედგა. მართალია, ეს ინფორმაცია სრულყოფილი არ არის, მაგრამ იმედია დროთა განმავლობაში იგი შეივსება და საბოლოოდ წიგნის სახე შეიძლება მიიღოს.

მადლობა მინდა გადავუხადო არასამთავრობო ორგანიზაცია "ქალები რეგიონის განვითარებისთვის" ხელმძღვანელს ქალბატონ ქეთევან ხიდაშელს, რომლის მხარდაჭერითაც განხორციელდა პროექტი და ყველა იმ ადამიანს, ვინც არ დაზარდა და ბავშვებს ლამაზი და შინაარსიანი დღეები აჩუქა.

პროექტის ხელმძღვანელი

ქეთევან ქადიეშვილი

შეხვედრა მწყემსებთან

ნუგზარ ასათიანი



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის წარმომადგენლები კურორტ ბახმაროს მიმდებარე ფაფარას საძოვრებზე მწყემსებს შეხვდნენ. ფაფარას საზაფხულო დასახლებაში 100-ზე მეტი ოჯახი ცხოვრობს. ამათგან უმეტესობა დაბა ნასაკირალის მცხოვრებლებია. ისინი აქ მაისის ბოლოს ამოდიან და 4 თვეზე მეტ ხანს რჩებიან. მათი ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობაა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება. აქ ყველა ოჯახს მოჰყავს კარტოფილი. საკუთარ ოჯახსაც აკმაყოფილებენ და ნამეტ პროდუქტს ბაზარზე ჰყიდიან.

ჯუმბერ ირემაძე: -ათი სული ძროხა მყავს. აქ, მთაში ვაწარმოებ კარაქს, ყველს, ნადუღს. ვამზადებ ყურუთას, მომყავს კარტოფილი. თავად ხედავთ, წელს კარტოფილის ცუდი მოსავალია. შარშან ერთი ტონა მოვიწვიე. წელს-ნახევარი თუ იქნება. კი, მთაში მოყვანილი კარტოფილი ეკოლოგიურად უფრო სუფთაა, მაგრამ თუ ნაწილობრივ საჭირო მინერალური სასუქი არ მიაშველე, არაფერი არ გამოვა. ამ მიწებს სპეციალისტებისგან შესწავლა სჭირდება.რას ვთხოვთ სახელმწიფოს? - ნაკლები ფასი უნდა ღირდეს მინერალური სასუქი. საგაზაფხულო სამუშაოებზე მეტი თანადგომაა საჭირო.

ეთერ ნაკაიძე, 76 წლის: -წელს ბევრ ნაკვეთზე კარტოფილის მცირე მოსავალი მოვიდა. მინერალური სასუქი ძვირია, საწვავსაც უნდა დაუწიონ ფასი. არც პენსიაა საკმარისი. 150 ლარიდან უმეტესი წამლებში მიდის...

მიხეილ გორგაძე: -ფაფარაზე გზა ჩვენ გავაკეთეთ. ჩვენი ექიმის არჩილ ირემაძის თხოვნით ბიზნესმენები ოთარ, ხოსე ანთაძეები, სულიკო ართმელაძე, რამაზ ირემაძე, ზია ჭელიძე დაგვეხმარნენ. 5 ტონა ცემენტი გამოგვიგზავნეს. ტრანსპორტისათვის საშიშ სავალ ნაწილზე ბეტონის საფარი დავაგეთ, თუმცა საკმარისი არ არის. თავის დროზე ორი კილომეტრის მანძილზე დავასვეთ ბოძები და შუქი გავიყვანეთ. ხის ბოძები დაძველდა და შესაცვლელია. ხელისუფლებამ უნდა გვიშუამდგომლოს ,,ენერგო პრო ჯორჯიასთან.“

შაქრო მეკეიძე:–ძალიან მნიშვნელოვანია დაბაში სისუფთავე. დასუფთავების სამსახურმა ნაგვის ურნების რაოდენობა უნდა გაზარდოს. გარდა ამისა, მწვავედ დგას მოსახლეობის შეშით მომარაგების საკითხი. ამ და სხვა თემებზე ისაუბრეს ფაფარაზე მყოფმა ნასაკირალელებმა. მათ სათანადო პასუხები გასცეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებმა **თემურ ბურჭულაძემ**, **შოთა ართმელაძემ,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ნასაკირალის წარმომადგენელმა **ტარიელ ანთაძემ.** ისინი ნასაკირალელებს საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში დახმარებას დაჰპირდნენ.

ერთი დღე სოფელ ცხემლისხიდში

მიმდინარე წლის 29 აპრილს უნივერსიტეტელ კოლეგებთან ერთად ვესტუმრეთ ოზურგეთის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის საჯარო სკოლას. უნივერსიტეტის სახელით სკოლის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადავეცით წიგნები, სკოლა მდინარე ნატანებთან, ტუფის ქვით მოპირკეთებულ ორსართულიან ქვის შენობაშია განთავსებული. აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ღვაწლმოსილი პედაგოგები: გიორგი სალუქვაძე, გიორგი ლომინაძე, მიხეილ მშვიდობაძე, ნინა დონდოლაძე, ქეთო სალუქვაძე. დღეს სკოლას უნარიანად უძღვება ნიჭიერი, ენერგიული პიროვნება ლალი სიჭინავა. სკოლაში მოეწყო ღია გაკვეთილი საქართველოს ისტორიაში თემაზე: ,,თამარის პიროვნების საკითხისათვის." ისტორიის მასწავლებელმა ნინო ჯაველიძემ გაკვეთილი ჩაატარა კითხვა-პასუხის მეთოდით. მოსწავლეები ისტორიულ-დოკუმენტურ მასალასთან ერთად კარგად ფლობენ ისტორიულ პროზას. დამსწრეთა პატრიოტული პათოსი კიდევ უფრო აამაღლა მოსწავლეთა ფოლკლორულმა ანსამბლმა. გაკვეთილის დასრულების შემდეგ, გადავინაცვლეთ შალვა რადიანის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. გურულ ოდა სახლში, ხის ორნამენტით დამშვენებული ავეჯი და მდიდარი ფოტო-დოკუმენტური და ფოლკლორული ექსპონატებია წარმოდგენილი. მუზეუმში მეგზურობა გაგვიწია ქალბატონმა ნინო ჯაველიძემ, რომლის დიდი რუდუნების ფასად დღესაც განაგრძობს მუზეუმი არსებობას.

შალვა რადიანი როგორც ისტორიკოსი

ქართული ლიტერატურის ისტორიის ცნობილი მკვლევარი შალვა რადიანი (შეწირული) ისტორიული რომანების განხილვისას მკითხველის წინაშე წარმოდგება როგორც მსოფლიო და საქართველოს ისტორიის კარგი მცოდნე. მკვლევარი სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთში მიმდინარე ისტორიულ პროცესებს შორის ეძებს ისტორიულ პარალელებს და შედარების მეთოდის საფუძველზე აკეთებს ლოგიკურ დასკვნებს. ვალტერ სკოტის, სტენდალის, ბალზაკის, ფლობერის, პროსპერ მერიმეს, ვიქტორ ჰიუგოს, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, აკაკის თუ სხვათა შემოქმედებას იგი განიხილავს ქვეყანაში მიმდინარე ისტორიულ პროცესებთან კავშირში.

ქართული ისტორიული რომანის კლასიკოს ვასილ ბარნოვის შემოქმედების განხილვისას ბატონი შალვა ეყრდნობა საქართველოს ისტორიის ძირითად წყაროებს. მკვლევარისთვის დამახასიათებელია ისტორიული ნედლი მასალის კარგი ცოდნა, ობიექტურობა, ანალიტიკური აზროვნება, ისტორიული მოვლენების მხატვრული აღწერის და კრიტიკული შეფასების დიდი უნარი.

ვასილ ბარნოვის შემოქმედების შეფასებისას იგი დადებითთან ერთად შენიშნავს, რომ არც სალიტერატურო და არც საისტორიო კრიტიკა სათანადოდ არ გამოხმაურებია ამ დიდი მწერლის ნაწარმოებებს და საჭიროდ მიაჩნია მისი მრავალრიცხოვანი ისტორიული რომანების სერიოზული მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლა.

მკვლევარი ვასილ ბარნოვს ახასიათებს, როგორც ისტორიული მოვლენების მხატვრულად აღწერის დიდოსტატს, რომლის ნაწარმოებები გამსჭვალულია ეპიური თვისებებით. მეცნიერი, მონოგრაფიაში ,,სახეები და შთაბეჭდილებები," ვასილ ბარნოვის შესახებ აღნიშნავს, რომ XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ისტორიული რომანის, როგორც სპეციფიკურ-პოეტური ჟანრის განვითარება უშუალოდ დაკავშირებულია ვასილ ბარნოვის სახელთან. თავისი შესანიშნავი შემოქმედება მან მიუძღვნა ისტორიულ-მხატვრულ პროზას და გამოიმუშავა თავისებური მეთოდი ისტორიის ესთეტიკური ათვისებისთვის. ამ ხასიათის ნაწარმოებებში ვასილ ბარნოვი გამოჩნდა საქართველოს წარსულის ღრმა მცოდნე, რომელიც საფუძვლიანად გრძნობს ეპოქის მოვლენებს. იგი ქმნის მაღალ მხატვრულ და კოლორიტულ ისტორიულ რომანებს. მეცნიერი ვასილ ბარნოვის შემოქმედების შესწავლით ხსნის ისტორიული რომანის პრობლემურ საკითხს ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში.

გვესაუბრება რა ისტორიული რომანის დანიშნულებაზე, მკვლევარი აღნიშნავს, რომ მისი მთავარი ამოცანაა მხატვრულ სახეებში გადმოსცეს ხალხის ცხოვრება, რეალური მოვლენები, ისტორიული ფაქტები ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული ისტორიულ ხასიათებთან. ისტორიული და მხატვრული ჭეშმარიტება ორგანულ მთლიანობაში უნდა იყოს მოცემული. ისტორიულ-მხატვრული პროზის ჩანასახად იგი თვლის ისტორიულ-ბიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებებს, კერძოდ ჰაგიოგრაფიული შინაარსის ლიტერატურას.

პროფესორი შალვა რადიანი კარგად იცნობს ისტორიულ-მხატვრულ შემოქმედების ტრადიციებს. თავის წერილებში იგი ნათლად წარმოაჩენს ისტორიულ-მხატვრული ჟანრის ნაწარმოებების მქონე მწერლების მიერ განვლილ გზას უძველესი დროიდან XX საუკუნის ჩათვლით.

მკვლევარი, ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანის ,,არმაზის მსხვრევის"

გვ-4

რა შეისწავლა საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების შემსწავლელმა კომისიამ?

გაზეთი „ალიონი“

,,ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, შეიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების შემსწავლელი კომისია.

ჩვენს მკითხველებს, კარგად ახსოვს 2012წელს მელექედურის საჯარო სკოლაში განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექციის შესვლა და სკოლის დირექტორის, ნათელა თოხაძის საქმე, რომლის გათავისუფლების მოტივი, მისი პოლიტიკური შეხედულებები იყო. როგორც შემდგომ კომისიამ დაადგინა , ასეთი მოტივით გათავისუფლეს 2011 წელს ჯუმათის, კონჭკათის, ასკანის,კვირიკეთის საჯარო სკოლების დირექტორები ნესტორ მეგრელაძე, რომან სირაძე, ნინო მამალაძე, ნაილი გრძელიძე. გათავისუფლების საფუძველი გახდა 2011 წლის საატესტაციო გამოცდების არადამაკმაყოფილებელი შედეგები.

კომისიის მასალებში წერია, რომ სკოლების სამეურვეო საბჭოების მიერ არჩეული დირექტორების შემთხვევაში, მათი თანამდებობებიდან ვადამდე გათავისუფლების საფუძველი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის ყოფილი შემსრულებლის ირაკლი ანდიაშვილის წერილი, რომელიც მან გაუგზავნა საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოებს. აუდიტის დეპარტამენტის უფროსის ზემოაღნიშნული წერილის თანახმად, სკოლის საატესტაციო გამოცდების შედეგები ვერ პასუხობდა ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს და იმ მოტივით, რომ დირექტორების მიერ მოსწავლეთა აკადემიური დონის ასამაღლებლად სათანადო ღონისძიებები არ იქნა გატარებული, სამეურვეო საბჭოებს ეთხოვათ, კონკრეტული დირექტორების თანამდებობიდან გათავისუფლება 24 საათის განმავლობაში.

რაც შეეხება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლებს, მათი დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლება მოხდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, ირაკლი ანდიაშვილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სადაც ნაჩვენები იყო დირექტორების სკოლიდან გათავისუფლების ერთი და იგივე საფუძველი -სკოლების მიერ საატესტატო გამოცდებში ნაჩვენები არადამაკმაყოფილებელი შედეგები.

კომისიამ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა დასახელებული დირექტორების თანამდებობიდან უკანონო გათავისუფლებას. იყო შემთხვევები, როცა მუნიციპალიტეტებში საატესტაციო გამოცდებზე უფრო დაბალი შედეგები ჰქონდათ სხვა სკოლებს. ბუნდოვანი და დაუსაბუთებელი იყო, თუ რა ღონისძიებები გაატარა სკოლის დირექტორმა, რამაც ნეგატიური გავლენა მოახდინა მოსწავლეთა აკადემიურ დონეზე, ჰქონდა თუ არა კონკრეტულ მოსწავლეს დაბალი აკადემიური მოსწრება სასწავლო წლის განმავლობაში და კონკრეტულად რა ფაქტორებით იყო განპირობებული მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრება. ირაკლი ანდიაშვილის წერილში არ იყო მითითებული, კონკრეტულად ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი რომელი ნორმა არ შეასრულა სკოლის დირექტორმა და რა გავლენა მოახდინა ამან საატესტატო გამოცდების შედეგებზე, რაც გახდა დირექტორის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.

კომისიამ შესაბამისი დასაბუთებით საბოლოოდ მიიჩნია, რომ დირექტორების დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლება ატარებდა უკანონო და შერჩევით ხასიათს, ამიტომ კომისიამ 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მიმართა განათლების და მეცნიერების სამინისტროს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მიეღო გადაწყვეტილება დასახელებული პირების დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით.

თუმცა კომისიის დასკვნას, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსაგან შესაბამისი ბრძანებები არ მოჰყოლია. როგორც ჩანს, კომისიის დასკვნა მხოლოდ პოლიტიკურ განცხადებად დარჩა.

სხვამხრივ იყო საქმე ნათელა თოხაძის შემთხვევაში და მან სასამართლოს მიმართა. ნათელა თოხაძემ სამართალს მიაღწია, სასამართლომ იგი აღადგინა დაკავებულ თანამდებობაზე.

რაც შეეხება დანარჩენ 4 დირექტორს, ნესტორ მეგრელაძეს შესთავაზეს ორი სხვადასხვა სკოლაში მუშაობა, რაზედაც მან უარი განაცხადა, ნინო მამალაძე ასკანის საჯარო სკოლის დირექტორია. ხოლო ნაილი გრძელიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების უფროსის მოადგილე.

ოზურგეთის რესურსცენტრის ამჟამინდელი ხელმძღვანელი ლელა იმედაშვილი ამბობს, რომ ეს თემა ამოწურულია. რესურსცენტრი სამართლებრივად არ მონაწილეობს სკოლის დრექტორების დანიშვნა-გათავისუფლებაში.

საზოგადოებაში არსებობს კითხვები, თუ რატომ არ გაითვალისწინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კომისიის დასკვნა, მართლაც იყო პოლიტიკური მოტივი? თჩვენთან საუბარში აღნიშნავენ, რომ თითქმის ყველა სკოლის დირექტორი აქტიურად იყო ჩაბმული ნაციონალური ხელისუფლების საარჩევნო პროცესში, რაც მათი საუნო-საარჩევნო კომისიების ადმინისტრაციაში დანიშვნებით დასტურდება.

100 წლის ქალბატონი



მოვალეობის შემსრულებელია. იურისტია მათი უმცროსი ძმა ვალერიც. ისიც ოჯახურ ბიზნესშია ჩართული.

ოჯახის რძლები: ნატო სალუქვაძე, მხატვარი, წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის მასწავლებელი;

ანა გუჯაბიძე, იურისტი, მუშაობს ბაღში;

მარინა თენიეშვილი, იურისტი, ამჟამად დიასახლისია.

მთვარისა ანასეულის საჯარო სკოლის პედაგოგია. გია კერძო ბიზნესშია დასაქმებული.

24 წლისაა გიორგი, უფროსი შვილთაშვილი, ჯერჯერობით ნაბოლარა ნიკოლოზი ორი წლისაც არა. შვილიშვილის შვილიშვილსაც ელოდება დიდი ბებო.

6 შვილიშვილი, 15 შვილთაშვილი თავიანთ ოჯახებთან ერთად გარს ეხვევიან იუბილარს, რომელიც მათი დიდი ოჯახის უდიდესი სილამაზეა. შეჰყურებს თავის მონაგარს ამაგდარი ქალბატონი, რომელსაც წლების სიმძიმესა და ცხოვრების სევდას მათი ჟრიამული და მზრუნველობა უქარვებს

მადლობა ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს

ჩვენს უბანში შემოყვანილი იყო გაზი და დარჩენილი იყო უბნის ნახევარი უგაზოდ. ორი წლის მანძილზე მივმართეთ სხვადასხვა ინსტანციებს, მაგრამ უშედეგოდ.

ბოლოს დასახმარებლად მივმართეთ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად კვაჭანტირაძის ბიუროს. ქალბატონ ნინო კუკულაძის მეშვეობით დაგვეხმარა ზვიად კვაჭანტირაძე, რომელმაც გვიშუამდგომლა ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაზესთან და ჩვენი უბნის მოთხოვნა გაზიფიკაციის თაობაზე დააკმაყოფილა. დიდი მადლობა დახმარებისათვის.

თამაზ ღლონტი, ვასასი ჩხარტიშვილი, იამზე ტოტოჩავა, ნუგზარ დარჩია (სოფ. ოზურგეთი)

შალვა რადიანი როგორც ისტორიკოსი

განხილვისას, ჩვენს წინაშე წარმოდგება როგორც წარმართული და ქრისტიანული რელიგიის ისტორიის კარგი მცოდნე. ისტორიულ ნაწარმოებში დასახულ პრობლემას, კერძოდ, წარმართულ და ქრისტიანულ რელიგიებს შორის ბრძოლას, წარმოაჩენს მსოფლიო ლიტერატურის ისეთ შედევრებთან კავშირში, როგორიცა შატობრიანის „მარტვილნი", სენკევიჩის „ვიდრე ახვალ უფალო?!" ფრანსის „თაისი" და ა.შ.

ვასილ ბარნოვის „ხაზართა სასძლოს" განხილვისას მკვლევარი იყენებს არაბ ისტორიკოსებს იბნ ალ ასირის და ალ-იავერს, სომეხ ისტორიკოს ლევონდს და ა.შ. ამ შემთხვევაში ბატონი შალვა გვევლინება. როგორც რეალურ ამბავთა პოეტური თხრობის ჟანრის დიდოსტატი.

XVII საუკუნეში, საქართველოსთვის რთულ პერიოდში მიმდინარე ისტორიულ პროცესებში ღრმად წვდომის და ობიექტურად განსჯის უნარი განაკუთრებით ჩნდება მის ნაშრომში „განგების რკალი ანუ დიდი მოურავი გიორგი სააკაძე". აი ამონარიდი მისი ნაშრომიდან: „საქართველო დიდი ბრძოლის ასპარეზად იქცა ირანს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის. პატარა საქართველო ამ ბუმბერაზთა შორის დამოუკიდებლად ვერც იარსებებდა. მას ესაჭიროებოდა მოკავშირე. ერთ-ერთი მიზეზი XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური უბედურებისა იყო ფეოდალური სეპარატიზმი. გიორგი სააკაძე, დადებითთან ერთად (სამხედრო სტრატეგია, ფეოდალთა სეპარატიზმის წინააღმდეგ მებრძოლი, საქართველოს გაერთიანების იდეით შეპყრობილი), სიტუაციიდან გამომდინარე იძულებულია აწარმოოს ორაზროვანი პოლიტიკა და ჩაიდინოს სერიოზული შეცდომები. იგი ვერ ითვალისწინებდა გარეშე ფაქტორების ნამდვილ ხასიათს და რომ ამ ფაქტორებს არ შეეძლო ქვეყნის შინაგანი სისუსტის კომპენსირება. წინააღმდეგობა სურვილსა და შესაძლებლობას შორის იყო სათავე სააკაძის მთელი ტრაგედიისა — ასკვნის მკვლევარი. ისტორიაში პიროვნების როლის საკითხის შალვა რადიანისეული ხედვა და შეფასება დღევანდელი პოლიტიკოსებისთვის სამაგალითო უნდა იყოს. მკვლევარი თვლის, რომ ვასილ ბარნოვი ვერ ითვალისწინებს სააკაძის დამარცხების ნამდვილ მიზეზს, რომ მისი იდეები ეწინააღმდეგებოდნენ მაშინდელ საზოგადოებრივ შეგნებას, მისი იდეები ნაადრევი იყო და ვერ განხორციელდებოდა ფეოდალური კარჩაკეტილობის პირობებში. იგი დამარცხდა სწორედ მაშინ, როცა თავისი მიზნების განხორციელებას შეეცადა უცხო ძალების დახმარებით.

პროფესორი ლევან სანიკიძეც გიორგი სააკაძის დამარცხების ნამდვილ მიზეზს მის ხასიათში ეძებს.

ვასილ ბარნოვის ნაწარმოებების: „დედოფალი ბიზანტიის", „სახიფათო სიყვარული", „მიმქრალი შარავანდედი" განხილვისას მეცნიერი საქართველოს დაცემის მთავარ მიზეზად ასახელებს მის დაშლა-დაქუცმაცებას სამეფო-სამთავროებად და იმას, რომ საქართველოს, ერთ დროს მაღალგანვითარებული ქრისტიანული ცივილიზაციის მქონე ქვეყნის ბიზანტიის ნაცვლად, დაუმეზობლდა თურქეთი და ირანი.

მკვლევარი უარყოფს მწერლის მიერ ისტორიულ რომანში "პირიმზე" წარმოდგენილ თამარის დროინდელ საქართველოს სახელმწიფოებრივი ორიენტაციის საკითხს (აღმოსავლეთით ერთნი, მეორენი ჩრთილოეთით) და თვლის, რომ თამარ მეფის დროს საქართველო საკუთარ ძალებს ეყრდნობა და არავითარ პოლიტიკურ ორიენტაციას ის არ ეძებს.

ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებულში" მეცნიერი განიხილავს აშოტ კურაპალატის და გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ხანას (VIII-IX სს.) აქ მკვლევარი მსოფლიო და ქართული ლიტერატურის ისტორიის კარგ ცოდნასთან ერთად წარმოჩნდება როგორც დიდი ერუდიცის მქონე ადამიანი.

ისტორიულ რომანში წარმოდგენილ სიყვარულის ამბავს მკვლევარი უკავშირებს ანატოლი ფრანსის „თაისში" მოთხრობილ შემთხვევას. ასევე იგი მაღალ მეცნიერულ დონეზე მსჯელობს დაპირისპირებაზე სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. ბატონი შალვა მწერალში ნიჭიერ ფილოსოფოს და ფსიქოლოგსაც ხედავს და აღნიშნავს, რომ კლასიკოსი თავისუფლად და ბუნებრივად გადადის ისტორიული თხრობიდან, რაც უპირატესად სიზუსტით არის შესრულებული, ღრმა ფილოსოფიური განზოგადების და გმირთა ქცევისა და განცდების ფსიქოლოგიურ ანალიზამდე.

მეცნიერს მიაჩნია, რომ „ტრფობა წამებულში" მოთხრობილი ამბავის უმეტესი ნაწილი ისტორიული დოკუმენტების პერიფრაზია.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბატონი შალვას მიერ განხილული ლევან გოთუას ისტორიული მითხრობები „ქვის ხოხობი" „კრწანისის სევდა" „უგზო ქარავანი" „სიბრძნე სიკვდილისა" „ხანძთის ზარი" „ყინწვისის ანგელოზი" და ასევე ისტორიული რომანები „გმირთა ვარამი" და „მითრიდატე".

მეცნიერი კრიტიკული თვალით განიხილავს ლევან გოთუას შემოქმედებას და აღნიშნავს, რომ ისტორიული რომანის ავტორი არ უნდა იფანტებოდეს წვრილმანში და მაგალითად მოჰყავს პროსპერ მერიმეს „შარლ IX მეფობის ქრონიკა", რომლის ავტორი არ არის გატაცებული დაწვრილებითი აღწერებით არამედ თხრობის მიხედვით ლაკონურად იძლევა ისტორიულ სურათს თუ შემთხვევას. იგი თვლის, რომ ლევან გოთუას ისტორიზმში ბევრი გარეგნული ეფექტია. მკლევარი რომანისტს, როგორც ისტორიკოსს ენას უწუნებს, რაშიც ვერ დავეთანხმებით.

ნინო ჯაველიძე
მერაბ მეგრელიშვილი

დავით შემოქმედელის საღამოს ვიდეოჩანაწერი გურიის ტელევიზიით

წელს, ივნისის ბოლოს ქ. თბილისში, რუსთაველის თეატრში გაიმართა ჩვენი თანამემამულის, საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნის, გალაკტიონ ტაბიძის, დავით აღმაშენებლის, ნიკო ლორთქიფანიძის, ივანე მაჩაბლის პრემიების ლაურეატის, საქართველოს კულტურის დესპანის დავით შემოქმედელის (ტაკიძის) შემოქმედებითი საღამო, რომელშიც საქართველოს მწერლობისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები მონაწილეობდნენ.

ტელეკომპანია „გურიას"მეშვებით შეგიძლიათ იხილოთ ამ საღამოს ვიდეოჩანაწერი **29 სექტემბერს, 20 საათზე და 30 სექტემბერს დილით, 11 საათსა და 30 წუთზე.**

დასაქმების მსურველთა საყურადღებოდ!

სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების დეპარტამენტის მიერ **25 სექტემბერს**, ოზურგეთის №3 საჯარო სკოლაში დასაქმების მსურველთათვის ჩატარდება ტრეინინგი.

ტრეინინგზე შეისწავლიან CV-ს შედგენას, სამოტივაციო წერილის დაწერას, გასაუბრების უნარ-ჩვევებს და დასაქმების პორტალზე დრეგისტრირებას. მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ ჯგუფებში.

საკონტაქტო პირი: მაია მდინარაძე,
] ტელ. (599) 957 464
სოციალური მომსახურების სააგენტოს
ოზურგეთის განყოფილება

კვიროსი სიორიძე

ბუნების კანონს ვერავინ შეცვლის. დგება დრო როცა ადამიანის ბედის წიგნის უკანასკნელი ფურცელი აშრიალდება და იხურება. ხშირად ამ წიგნში თქმული არაფერია. ხშირად კი იგი სავსეა სიბრძნით. ბატონი კვიროსი სიორიძე იმ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება, რომლებმაც ბიოგრაფია წრფელი გულითა და სუფთა სინდისით დაწერეს. სამწუხაროდ მისი ბედის წიგნი დაიხურა. წავიდა ნაჯაფი, ვალმოხდილი და მარადისობას შეერია.

სამხედრო აკადემიის დამათავრების შემდეგ სხვადასხვა სამხედრო ნაწილში მსახურობდა. სკოლაში მაიორის წოდებით მოვიდა. მუდამ მოწესრიგებული, ვაჟკაცური იერით რაინდობის და კეთილშობილების მაგალითი იყო. მწყობრში ჩამდგარი ახალგაზრდების რიხიანი შეძახილი:- გამარჯობა, ამხანაგო მაიორო! —აზანზარებდა სკოლის შენობას. მისი კაბინეტი ყოველთვის გამოირჩეოდა უზადო სისუფთავითა და წესრიგით. დისციპლინის მოყვარული სხვებისგანაც იგივეს ითხოვდა.

მის კვალს ბევრი გაჰყვა. ბევრმა პროფესია სწორედ მისი მიბაძვით აირჩია. სამხედრო სასწავლებლიდან თუ ჯარის ნაწილიდან ხშირად მოდიოდა სკოლში მადლობის ბარათი, რაც ბატონი კვიროსი სიორიძის უდიდესი დამსახურება და წარმატება იყო.

კეთილი საქმეებისთვის ბევრი მადლობა, დიპლომი, მედალი და ღირსების ორდენი აქვს მიღებული, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო მათ შორი ბავშვების სიყვარული იყო.

ოზურგეთის №5 საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი, მოსწავლეები, კურსდამთავრებულები, მშობლები ქედს ვიხრით მისი პიროვნების წინაშე და ღმერთს ვთხვთ, ნათელი და სიმშვიდე დაუმკვიდროს მის სულს.

ოზურგეთის №5 საჯარო სკოლის დირექცია; საქართველოს მეცნიერებისა და განათლების პროფკავშირების ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია

საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამაგდარი სამეურნეო მუშაკი, ამავე ორგანიზაციის პოლიტსაბჭოს წევრი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი მოწვევის დეპუტატი, ფრქაცია „პატრიოტთა ალიანსი"-ს თავმჯდომარე **ავთანდილ ხინთიბიძე** და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილი ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru
კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე